შპს საქართველოს მელიორაცია
Georgian Amelioration LTD

N გ-3006
26/10/2018

3006-გ-2-201810261739

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია თქვენი 22.10.2018წ. N6/58739 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი „50 ქონება შენი სასტუმროსათვის“ პროექტის ფარგლებში, კერძოდ, მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმრო და ტურისტული კომპლექსის შემდგომი განვითარების მიზნით, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელიასხევში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ 73.07.22.159, ს/კ 73.07.22.157 და ს/კ 73.07.22.137) პრივატიზების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს „სიონის წყალსაცავის“ ნაპირის სიახლოვეს და ყველაზე ახლო კონტური წყლის შეტბორვის ზოლიდან დაცილებულია 50 მეტრზე მეტი მანძილით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის N440 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტი წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, იმ ტბებისა და წყალსაცავებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას, წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან, არანაკლებ 30 მეტრისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ინვესტიცია ეხება ტურიზმის სფეროს და განზრახულია დასასვენებელი ინფრასტრუქტურის განაშენიანება, რომელიც განთავსდება 30 მეტრიანი წყალდაცვითი ზოლის გარეთ, შპს ,,საქართველოს მელიორაცია“ არ იქნება წინააღმდეგი წერილში აღნიშნული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისა. ამასთან, ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაუშვებელია ჩამდინარე ნახმარი წყლების ჩაშვება წყალსაცავში და წყალარინების საკითხი წინასწარ უნდა შეათანხმოს კომპანიასთან.

პატივისცემით,
ოთარ შამუგია

გენერალური დირექტორი

0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: (995 32) 2 001000
Georgia, Tbilisi, G. Gulua str. N6 Tel: (995 32) 2 001000
info@ag.ge www.ag.ge